საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№76-2/21 „12“ დეკემბერი 2021 წ.

ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა №7-ში (ს/კ: №01.19.36.002.059), საოფისე შენობის გავლენისა, ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებზე.

ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა №7-ში, შ.პ.ს. „ბლოქსი“-ს თავის კუთვნილ ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.36.002.059) დაგეგმილი აქვს ორ სართულიანი საოფისე ტიპის შენობის მშენებლობა. შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან ვარიანტში, ჩარჩოს სვეტების განივი კვეთებია LxB=40x40სმ. შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით ღერძებში ℓ×b=23.49×19.10 მ. სართულშორის გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი (რიგელებიანი) ფილები, სისქით 18 სმ. მონოლითური რიგელების განივი კვეთებია BxH=40x50 სმ. BxH=30x50 სმ. და BxH=20x50 სმ. შენობის სართულიანობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- პირველი სართული, სიმაღლით h=430 სმ.
- მეორე სართული, სიმაღლით h=380 სმ.

მოსაზღვრე მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები

ჩრდილოეთი - საპროექტო ნაკვეთს ესაზღვრება მოხრეშილი საავტომობილო გზა.

აღმოსავლეთი - საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება ორი საკადასტრო ერთეული ს/კ: 01.19.36.003.104, რომელზეც შენობა-ნაგებობები ან რაიმე ტიპის კონსტრუქციები განლაგებული არ არის და ს/კ: 01.19.36.003.079, რომელზეც განლაგებულია ორ სართულიანი შენობა და უშუალოდ ესაზღვრება საპროექტო ტერიტორიას.

სამხრეთი - სამხრეთის მხრიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება მოასფალტებული საავტომობილო გზა (კალოუბნის ქ.).

დასავლეთი - დასავლეთის მხრიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ერთი საკადასტრო ერთეული (ს/კ: 01.19.36.002.001), რომელზეც განლაგებულია ცხრა სართულიანი საცხოვრებელი შენობა და საპროექტო შენობის გარკვეულ მონაკვეთში არის მისი მოსაზღვრე, საპროექტო შენობიდან არსებულ შენობამდე მინიმალური მანძილი შეადგენს 4მ.-ს.

შენობის მშენებლობისათვის დასამუშავებელი ქვაბულის კიდეები აღმოსავლეთით (№01.19.36.003.079), სამხრეთით (კალოუბნის ქ.) და დასავლეთით (№01.19.36.002.001) უახლოვდება მოსაზღვრე ნაკვეთებს და მასზე განთავსებულ ნაგებობებს, იმისათვის რომ მოცემული მიმართულებებით მშენებლობის პროცესში უზრუნველყოფილი იყოს ჩამოთვლილი შენობა-ნაგებობისა და ქვაბულის ფერდების მზიდუნარიანობა და უსაფრთხოება, პროექტის ავტორის მიერ დამუშავებულია ქვაბულის მოწყობის პროექტი, რომელიც გულისხმობს ნაბურღ-ინექცირებული ხიმინჯების მოწყობას დიამეტრით 15სმ. ხიმინჯების გეომეტრიულ ცენტრებს შორის მანძილი მიღებულია 80სმ. ხიმინჯების საორიენტაციო სიგრძეა 225სმ. ხიმინჯების თავები გაერთიანდება მონოლითური რკინაბეტონის კოჭით, რომელიც უზრუნველყოფს ხიმინჯების ერთდროულ მუშაობას.

დასკვნა:

შ.პ.ს. „მონოლითი“ გაცნობებთ, იმისათვის, რომ ნულოვანი ციკლის მოწყობისას სამშენებლო სამუშაოების წარმოებამ არ მიაყენოს ზიანი ირგვლივ, მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებს, აუცილებელია ნაბურღ-ინექციური ხიმინჯების მოწყობა მოცემული ნახაზების მიხედვით. წარმოდგენილი მასალებისა და ჩატარებული შეფასებითი გაანგარიშებების საფუძველზე გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.36.002.059) დაგეგმილი საოფისე შენობა არ იქონიებს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას ირგვლივ, მომიჯნავედ მყოფი შენობებისათვის, როგორც ქვაბულის დამუშავების, ასევე მშენებლობის ექსპლოატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი /მ. საველიძე/

ტელეფონის ნომერი: +995 599 15 66 49
ელექტრონული ფოსტა: Ltdmonoliti@gmail.com